2-8535/25
24-06-2025

საქართველოს პარლამენტის

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს კანონების პროექტებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2025 წლის 23 ივნისს, კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების დავით მათიკაშვილის, იოსებ ჯორბენაძის, აკაკი ალადაშვილის, ირაკლი შატაკიშვილის და გიორგი კახიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/65; 28.05.2025).

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონის მე-3 მუხლს ემატება ზ[1] ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, მრჩეველი არის პირი, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურეს ან სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებულ პირს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით აძლევს რჩევებს. კანონის ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით და რომელსაც არ უკავია ამ კანონით მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის გათვალისწინებული თანამდებობები. შესაბამისად, ნორმათა შორის მეტი სიცხადისათვის, მიზანშეწონილია „ზ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნას მითითება

რჩევების მიცემასთან დაკავშირებით, აგრეთვე, მოხელესა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთან ერთად, დაემატოს, მითითება იმ პირების შესახებ, რომლებიც არ ახორციელებენ მრჩევლის უფლებამოსილებას. ამასთანავე, ვინაიდან, წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონს ემატება IX[2] თავი - „მრჩეველი საჯარო სამსახურში“, შესაბამისად, კანონის მე-3 მუხლის ნაცვლად უმჯობესია მრჩეველთან დაკავშირებული საკითხები რეგულირებული იქნეს აღნიშნულ თავში, შესაბამისად, კანონპრექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „ზ[1]“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს და მრჩევლის განმარტება დაემატოს IX[2] თავს. ამასთანავე, დაზუსტდეს ნორმის ფორმულირება და განისაზღვროს, რომ პირი, რომლის უფლებამოსილება მოიცავს სახელმწიფო მოსამსახურის, მათ შორის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, აგრეთვე, პოლიტიკური თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირისთვის, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ რჩევების მიცემას საჯარო სამსახურში მიიღება მრჩევლად. ამასთანავე, მეტი სიცხადისათვის და საკითხის ზუსტი სამართლებრივი რეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია ამავე მუხლით განისაზღვროს, რომ მრჩეველი არ არის საჯარო მოსამსახურე და მასზე ვრცელდება მხოლოდ კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-2 პუნქტის მოქმედება და IX[2] თავით გათვალისწინებული ნორმები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონს ემატება IX[2] თავი „მრჩეველი საჯარო სამსახურში“. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განისაზღვრება ის პირები, ვისზეც არ ვრცელდება კანონის მოქმედება. იმისათვის, რომ წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული IX[2] თავის მოქმედება გავრცელდეს ასევე აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ პირებზე შესაბამისი ჩანაწერი უნდა იქნეს გათვალისწინებული ნორმის ფორმულირებით და შესაბამისად ჩამოყალიბდეს მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონს ემატება IX[2] თავი, რომლის 84[3] მუხლის თანახმად, მრჩეველი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. საკითხის ამომწურავად რეგულირების მიზნით მიზანშეწონილია, მუხლის ფორმულირებაში დაზუსტდეს აგრეთვე, რომ დაუშვებელია მრჩევლის საქმიანობის ანაზღაურება ფულადი ჯილდოს, სახელფასო დანამატის ან სხვა რაიმე მატერიალური სარგებლის სახით. ხოლო

მრჩევლის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებაზე გავრცელდეს საქართველოს კანონმდებლობით საჯარო მოსამსახურის მივლინების ხარჯების ანაზღაურებისათვის დადგენილი წესები და დაემატოს თავს 84[6] მუხლად.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონს ემატება IX[2] თავი, რომლის 84[4] მუხლის თანახმად, პირი მრჩევლად მიიღება ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა, ნორმა არ შეიცავს რეგულირებას აღნიშნული ხელშეკრულების შესახებ. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ნორმის დეფინიციით დადგინდეს ის საკითხები, რომლებიც ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, მათ შორის ხელშეკრულების პირობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები, რაც შესაბამისად უნდა აისახოს ნორმის ფორმულირებაში. ამასთანავე, ნორმის მეტი განჭვრეტადობისა და შესაძლო განსხვავებული პრაქტიკის დანერგვის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია, მრჩეველთან გასაფორმებელი ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა დამტკიცდეს მთავრობის დადგენილებით. ამასთანავე, აღნიშნული რეგულაცია უნდა ამოქმედდეს კანონის გამოქვეყნებისთანავე, რათა კანონის სრულად ამოქმედების დროისათვის დამტკიცებული იყოს ხელშეკრულების სტანდარტული ფორმები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს ემატება IX[2] თავი, რომლის 84[4] მუხლით განისაზღვრება, რომ პირი მრჩევლის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად. თუმცა, მრჩევლის უფლებამოსილებასთან ერთად სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების განსაზღვრისას ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ნორმის ფორმულირებით მიზანშეწონილია განისაზღვროს, რომ საჯარო მოსამსახურე შეიძლება ახორციელებდეს მრჩევლის უფლებამოსილებას მხოლოდ იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ამასთანავე, ერთი და იმავე პირის მრჩევლად მიღება სხვადასხვა საჯარო დაწესებულების სისტემაში დაუშვებელია, რაც უნდა დაემატოს თავს 84[5] მუხლად.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით საჯარო სამსახურში მრჩევლის პოზიცია ხდება არაანაზღაურებადი საქმიანობა. ვინაიდან, კანონის მოქმედი რედაქციით სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მრჩევლის პოზიცია იყო ანაზღაურებადი, მიზანშეწონილია კანონის ამოქმედებმადე განისაზღვროს გარკვეული დრო, ასევე, პროექტით გათვალისწინებული

რეგულაცია ძალაში შევიდეს თვის დასაწყისიდან და კანონის ამოქმედების თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 1 აგვისტო. შესაბამისად, კანონის ამოქმედების დროიდან თანამდებობებიდან უნდა გათავისუფლდნენ ის პირები, რომელთა უფლებამოსილება მოიცავს სახელმწიფო მოსამსახურის, მათ შორის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, აგრეთვე, პოლიტიკური თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირისთვის, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით რჩევების მიცემას, რაც უნდა დაემატოს პროექტს მე-2 მუხლის სახით და მომდევნო მუხლი შესაბამისად დაინომროს. ანალოგიური შეეხება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მე-13 მუხლის 18^2 პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, აგრეთვე იმ საწარმოში, რომლის აქციათა ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ასევე ამ საწარმოს შვილობილ საწარმოში პირის მრჩევლად მიღებას, რაც ასევე ძალაში უნდა შევიდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან. შესაბამისად, აღნიშნული დროიდან უნდა ამოქმედდეს ასევე, კანონპროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი და ამავე დროიდან ის პირები, რომელთა უფლებამოსილება მოიცავს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო იურიდიული პირებისა), აგრეთვე იმ საწარმოს, რომლის აქციათა ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ასევე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელისთვის მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით რჩევების მიცემას, 2025 წლის 1 აგვისტოდან გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან, რაც უნდა დაემატოს პროექტის მე-2 მუხლს.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამავე კანონის მიზნებისთვის მრჩეველი არის პირი, რომელიც სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, აგრეთვე იმ საწარმოს, რომლის აქციათა ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ასევე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა

საკითხთან დაკავშირებით აძლევს რჩევებს. მიზანშეწონილია, ნორმის ფორმულირებით განისაზღვროს, რომ მსგავსად საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, აღნიშნული რეგულაცია არ ვრცელდება კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით და სასპორტო იურიდიული პირებზე. რაც ანალოგიურად უნდა აისახოს, აგრეთვე, წარმოდგენილი კანონპროექტის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მე-13 მუხლის 18^2 პუნქტში.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს გარკვეულ რეგულაციებს საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო, რელიგიური და წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა), სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, ასევე იმ საწარმოში, რომლის აქციათა ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილ საწარმოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებთან მიმართებით. ნორმის ფორმულირებით გამონაკლისი გათვალისწინებულია მხოლოდ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო, რელიგიურ და წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებით, თუმცა ამგვარი გამონაკლისი არ არის დადგენილი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთან მიმართებით, რაც აღნიშნული საკითხის არათანაბარ რეგულირებას იწვევს. შესაბამისად, მიზანშეწონილია პუნქტის ფორმულირებით განისაზღვროს, ზოგადად პირის უფლების შესახებ, რომ იგი უფლებამოსილია ასრულებდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ, შემოქმედებით და სპორტულ სხვა ანაზღაურებად საქმიანობას მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ კონკრეტული სამუშაოს შესაბამისი ვადით, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე და დაემატოს პუნქტს „დ“ ქვეპუნტის სახით, რომელიც გავრცელდება ამ პუნქტით გათვალისწინებულ ყველა დაწესებულებაში, მათ შორის როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირში, ასევე, სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში შრომითი ხელშეკრულებთ დასაქმებულ პირზე. შესაბამისად, აღარ იარსებებს დამატებით საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე მითითების აუცილებლობა და ამოღებულ უნდა იქნეს.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო, რელიგიური და წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა), სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, ასევე იმ საწარმოში, რომლის აქციათა ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, აგრეთვე, ამ საწარმოს შვილობილ საწარმოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება არ აქვს ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა) სხვა საჯარო სამსახურში, მათ შორის, სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირში, სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, ასევე იმ სხვა საწარმოში, რომლის აქციათა ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილ საწარმოში. შესაბამისად, ცვლილებას საჭიროებს აგრეთვე, კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი, საიდანაც ამოღებულ უნდა იქნეს ბოლო წინადადება, რომლის მიხედვით საჯარო მოსამსახურის მიერ შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ამასთანავე, ვინაიდან წარმოდგენილი ცვლილებით აღარ იქნება შესაძლებელი შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება საჯარო სამსახურში და ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში, მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობამ განსაზღვროს ის საჯარო დაწესებულებები, სადაც დასაქმებულ პირებს, აგრეთვე, ის დეფიციტური საქმიანობები/ფუნქციები, რომელთა შემსრულებლებსაც, ექნებათ შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ კონკრეტული სამუშაოს შესაბამისი ვადით, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რაც ნორმის შესაბამისი ფორმულირებით უნდა დაემატოს პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მე-13 მუხლს მე-20 პუნქტად. ამასთანავე, საჯარო მოსამსახურე, აგრეთვე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა რელიგიური და წევრობაზე დაუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, ასევე იმ საწარმოში, რომლის აქციათა ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები,

ასევე ამ საწარმოს შვილობილ საწარმოში დასაქმებული პირი თუ იმავდროულად ასრულებს რაიმე სხვა ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი და სპორტული საქმიანობისა) საჯარო სამსახურში, აგრეთვე, იმავე ან/და სხვა ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებაში, კანონპროექტი უნდა შეიცავდეს ჩანაწერს იმასთან დაკავშირებთ თუ როგორ გადაწყდება საკითხი იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც კანონის ამოქმედების დროისათვის ექნებათ ამგვარი შეუთავსებლობა. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით მიზანშეწონილია განისაზღვროს, რომ მათ კანონის ამოქმედების შემდეგ უფლება აქვს გააგრძელოს საქმიანობა მხოლოდ ერთ თანამდებობაზე და ვალდებულები არიან პირადი განცხადების საფუძველზე შეწყვიტონ ყველა სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა. აგრეთვე, პროექტით გათვალისწინებული შეუთავსებლობების პრევენციის მიზნით მიზანშეწონილია „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის დაემატოს რეგულაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში პირი გათავისუფლდება ყველა დაკავებული თანამდებობიდან და მას უფლება არ აქვს, განთავისუფლების დღიდან 2 წლის განმავლობაში მუშაობა დაიწყოს საჯარო სამსახურში, ასევე ზემოთ აღნიშნულ დაწეებულებებში. ამასთანავე, მას დაეკისრება კომპენსაცია შესაბამისი დაწესებულებების ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაკავებული თანამდებობების დატოვების ვალდებულების წარმოშობიდან, მისი შესაბამისი თანამდებობებიდან გათავისუფლების პერიოდისათვის მიღებული შრომის ანაზღაურების ოდენობით.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მე-3 მუხლის თანახმად, განსაზღვრულია კანონის ამოქმედება გამოქვეყნებისთანავე, თუმცა, ვინაიდან პროექტი შეეხება პირებს, რომლებსაც კანონის ამოქმედების შემდეგ აღარ შეეძლებათ პროექტით გათვალისწინებული სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელება, მიზანშეწონილია, რომ კანონის ძალაში შესვლამდე იყოს გარკვეული დრო და მისი ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2025 წლის 1 ნოემბერი. ამასთანავე, წარმოდგენილი პროექტის მე-2 მუხლის მიხედვით, კანონის გამოქვეყნებასთან ერთად, სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, ასევე იმ საწარმოში, რომლის აქციათა ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ასევე ამ საწარმოს შვილობილ საწარმოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს განახორციელოს რაიმე ანაზღაურებადი საქმიანობა, ეკავოს აკადემიური თანამდებობა, მიიღოს სხვა სარგებელი სათანადო თანხმობის გარეშე 2025 წლის 1

სექტემბრამდე. თუმცა, ვინაიდან, კანონის ამოქმედების ვადად განისაზღვრება 2025 წლის 1 ნოემბერი აღნიშნული რეგულაცია სამართლებრივ დატვირთვას მოკლებულია და ამოღებულ უნდა იქნას.

ინიციატორი დაეთანხმა კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტების განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებს და მოხდა მათი ასახვა შესაბამის პროექტებში.

კომიტეტმა აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კანონპროექტების პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განსახილველად გატანას.

პლენარულ სხდომაზე პროექტების განხილვისას თანამომხსენებლად დაინიშნა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირაკლი შატაკიშვილი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
დავითი მათიკაშვილი